დამტკიცებულია 2012 წლის 14 აგვისტოს აკადემიური საბჭოს №63 სხდომის ოქმით
და ძალადაკარგულია 2010 წლის 23 ივლისის აკადემიური საბჭოს N43 სხდომის ოქმით დამტკიცებული დებულება

შეტანილია ცვლილება 2013 წლის 28 ივნისის აკადემიური საბჭოს №79 სხდომის ოქმით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზნები

1.1 ეს დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის წესს, დოქტორის ხარისხის მინიჭების კრიტერიუმებს, დოქტორანტურაში მიღების წესს, დოქტორანტურის აკადემიურ შინაარსს, დოქტორანტურის მიზნებს, სადისერტაციო ნაშრომის და სადოქტორო პორტფოლიოს დაცვის წესს, ხოლო ამ საკითხებთან დაკავშირებული დავების წარმოშობის შემთხვევაში, მათი გადაჭრისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს.

1.2 დოქტორანტურის ძირითადი მიზნებია ახალი თაობის მომზადება მეცნიერებასა და ხელოვნებაში, უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი პოტენციალის განვითარება და გაფართოება.

1.3 დოქტორანტურის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტი იღებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს. სტუდენტს ენიჭება ეს ხარისხი იმ შემთხვევაში, თუ:

- გამოავლინა საკუთარი სფეროს სისტემური ცოდნა;
- გამოავლინა კვლევის ან/და შემოქმედებითი პროცესის სრულფასოვანი დაგეგმვისა და განხორციელების უნარი;
- განახორციელა ორიგინალური კვლევა ან/და შექმნა ორიგინალური კომპოზიცია/ინტერპრეტაცია, რომელიც აფართოებს ცოდნის საზღვრებს და რომელიც (მთლიანად ან ნაწილობრივ) იმსახურებს რეფერირებულ გამოქვეყნებას და/ან საერთაშორისო დონის პუბლიკაციას/რეცენზირებას;
- აქვს ახალი და კომპლექსური იდეების კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და სინთეზის უნარი;

შეუძლია კოლეგებთან, სამეცნიერო და არტისტულ საზოგადოებასთან და ზოგადად, საზოგადოებასთან ადეკვატურ დონეზე კომუნიკაცია ცოდნის საკუთარ სფეროში;

1.4 დოქტორანტურის ფარგლებში განხორციელებული კვლევითი ან/და შემოქმედებითი პროექტები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას;

1.5 ფაკულტეტს შეუძლია დოქტორანტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართოს სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 2. სადისერტაციო საბჭო

2.1 დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ქმნის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს.
2.2 სადისერტაციო საბჭო იქმნება ყოველი კონკრეტული დისერტაციის ან პორტფოლიოს განხილვისათვის და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის.
2.3 სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატთა სიას აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭო შესაბამისი დარგობრივი კომისიის წარდგინებით.
2.4.სადისერტაციო საბჭოში უნდა შედიოდნენ უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/ქვედარგის სრული, ასოცირებული და ემერიტუს პროფესორები.(28.06.2013)
2.5 სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი/პირები სხვა აკადემიური დაწესებულებიდან; სადოქტორო პორტფოლიოს შემთხვევაში კი ასევე საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კომპოზიტორი ან შემსრულებელი. მოწვეულ პროფესორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის პროფესორთა რაოდენობას.
2.6 სათანადო საფუძვლის არსებობის გამო, დისერტანტს უფლება აქვს აცილება მისცეს სადისერტაციო საბჭოს წევრს/წევრებს, ასეთ შემთხვევაში, წევრი/წევრები უნდა შეიცვალონ.

მუხლი 3. დარგობრივი კომისია

3.1 დარგობრივი კომისიები იქმნება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.
3.2 დარგობრივი კომისია შედგება უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორებისაგან და მას თავმჯდომარეობს ერთ-ერთი წევრი.
3.3 დარგობრივი კომისია მონაწილეობს დოქტორანტურაში მიღებასთან და სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებში, როგორიცაა:
- დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებთან გასაუბრება;
- პროსპექტუსის, ან პორტფოლიოს მონახაზის დაცვა;
- სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატთა სიის წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსადმი;
- სადისერტაციო ნაშრომის რეფერირებისათვის ექსპერტის/ექსპერტების შერჩევა და წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსადმი;
- სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის რეცენზეტის/რეცენზენტების შერჩევა და წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსადმი.

მუხლი 4. დოქტორანტურის ადმინისტრაცია

სადისერტაციო საბჭოს და დარგობრივი კომისიების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, ისევე, როგორც ყველა სახის საქმის წარმოებას, ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი.

თავი II. დოქტორანტურაში მიღება

მუხლი 5. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

მუხლი 6. დოქტორანტურაში მიღება

6.1 დოქტორანტურაში მიღებას, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებისა და ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, აცხადებს რექტორი, როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრისათვის. დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- შევსებული ანკეტა (ფორმა № 1 თან ერთვის);
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის ფლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- 2 ფოტოსურათი;
- ავტობიოგრაფია (CV);
- და სხვა დოკუმენტები, რომელსაც შეიძლება ითხოვდეს ცალკეული პროგრამა.

6.2 .სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო პროგრამის კომპოზიციისა და საშემსრულებლო მიმართულებებზე სწავლის მსურველს დასჭირდება დამატებითი მასალის წარდგენა:

- კომპოზიციის მიმართულებაზე მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს საკუთარ ნაწარმოებთა პორტფოლიო;
- საშემსრულებლო მიმართულებაზე სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი შესრულების 40-60 წუთიანი ჩანაწერი (CD), პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად.

6.3. დოქტორანტობის კანდიდატები გადიან ტესტირებას ინგლისურ ენაში (B2 დონე) და გასაუბრებას სპეციალობაში.

6.4.ინგლისური ენის ტესტისაგან თავისუფლდებიან სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს ინგლისური ენის სასურველ დონეზე ცოდნას (არანაკლებ B2 დონეზე), ასევე კანდიდატები, ვისაც ინგლისურ ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი საზღვარგარეთის ქვეყნებში.

6.5.გასაუბრება სპეციალობაში ტარდება ინგლისური ენის ტესტირების შედეგებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში იმ კანდიდატებთან, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ტესტი ან გათავისუფლდნენ ტესტის ჩაბარებისგან 6.4. პუნქტის შესაბამისად

6.6.დოქტორანტურის დარგობრივი კომისია, ინგლისურ ენაში ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე, სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო პროგრამის კომპო.ზიციისა და საშემსრულებლო მიმართულებებზე კი ასევე დამატებითი მასალის წარდგენის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველის უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ, წარუდგენს

გადაწყვეტილებას შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომელიც, თავის მხრივ, დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა სიას უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზნით დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.

მუხლი 7. უცხოეთის მოქალაქის მიღება დოქტორანტურაში

7.1 დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს "საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ" 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2 კანდიდატმა 6.1, ხოლო სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო პროგრამაზე ასევე 6.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ფორმალური ცნობის დამადასტურებელი მოწმობა.

7.3 შესაბამისი დარგობრივი კომისია, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს სტუდენტის ინტერესებზე მორგებულ ინდივიდუალურ პროგრამას და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

მუხლი 8. მობილობა დოქტორანტურაში

8.1 დოქტორანტურაში სტუდენტი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო წესის მიხედვით.

8.2 ჩარიცხვისა და კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტი.

თავი III. დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 9. დოქტორანტურის აკადემიური სტრუქტურა

9.1 სადოქტორო პროგრამებს უნივერსიტეტის მისიისა და ინსტიტუტებში/ცენტრებში მიმდინარე კვლევითი პროექტების გათვალისწინებით შეიმუშავებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.
9.2 დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წელია, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური პროგრამით.
9.3 დოქტორანტი და მისი ხელმძღვანელი ვალდებულები არიან ყოველი წლის ბოლოს წარმოადგინონ ანგარიში.
9.4 დოქტორანტურაში სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. კრედიტების ზუსტი განაწილება და სასწავლო კურსების შინაარსი მოცემულია ცალკეულ სადოქტორო პროგრამაში.
9.5. დოქტორანტმა შეიძლება ისარგებლოს აკადემიური შვებულებით, საუნივერსიტეტო წესის შესაბამისად.
9.6 უნივერსიტეტში შეიძლება არსებობდეს ერთობლივი პროგრამები, რომელთა პირობები განისაზღვრება შესაბამისი დოკუმენტაციით (ხელშეკრულებები, მემორანდუმები, კურიკულუმები და ა. შ.)

მუხლი 10. სამეცნიერო ხელმძღვანელი

10.1 სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, რომელსაც აქვს აკადემიური ხარისხი და დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება. სამუსიკო ხელოვნების საკომპოზიტორო ან საშემსრულებლო მიმართულებაში ეს შესაძლოა იყოს ასევე საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კომპოზიტორი ან შემსრულებელი.

10.2 სწავლის პირველივე სემესტრიდან დოქტორანტს შერჩეული უნდა ჰყავდეს

სამეცნიერო ხელმძღვანელი პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად.

10.3 დოქტორანტი და ხელმძღვანელი თანხმდებიან თემის / პორტფოლიოს დასრულების ვადებზე და ხელმძღვანელობის ფორმაზე.

10.4 საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. დასაშვებია, თანახელმძღვანელი მოწვეულ იყოს სხვა აკადემიური დაწესებულებიდან.

10.5 იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს ფაკულტეტს.

10.6 სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის სურვილის შემთხვევაში, დოქტორნატმა დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნით უნდა მიმართოს ფაკულტეტს.

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომისა და პორტფოლიოს პროექტი (პროსპექტუსი და პორტფოლიოს მონახაზი)

11.1 სასწავლო პროგრამით დადგენილ ვადაში დოქტორანტმა დარგობრივი კომისიის წინაშე განსახილველად უნდა წარადგინოს სადისერტაციო ნაშრომის პროექტი - პროსპექტუსი, რომელშიც აღწერილი იქნება:

- საკვლევი პრობლემატიკა;
- სამეცნიერო ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალების (მაგ: აუდიო და აუდიო-ვიზუალური, ასევე სანოტო პარტიტურები) მიმოხილვა;
- მეთოდოლოგია;
- კვლევის მოსალოდნელი შედეგები;
- კვლევის გეგმა;
- ბიბლიოგრაფია.

11.2 სამუსიკო ხელოვნების დოქტორატურაზე სწავლისას სასწავლო პროგრამით დადგენილ ვადაში დოქტორანტმა დარგობრივი კომისიის წინაშე განსახილველად უნდა წარადგინოს სადოქტორო პორტფოლიოს მონახაზი, რომელშიც აღწერილი იქნება:

- პორტფოლიოს ტიპი
- საკვლევი საკითხები მუსიკოლოგიური და სანოტო ლიტერატურის, და აუდიო-ვიზუალური მასალის მიმოხილვა
- პორტფოლიოზე მუშაობის მეთოდოლოგია

- პორტფოლიოზე მუშაობის შედეგები
- პორტფოლიოს გეგმა
- სავარაუდო სტრუქტურა
- სრული ბიბლიოგრაფია და აუდიო/აუდიო-ვიზუალური მასალები.

თავი IV. სადისერტაციო ნაშრომის, სადოქტორო პორტფოლიოს წარდგენა, დაცვა და ხარისხის მინიჭება

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის, სადოქტორო პორტფოლიოს წარდგენის პროცედურა

12.1 დისერტანტმა სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სამეცნიერო პუბლიკაციის ფორმალურ სტანდარტებს და გაფორმებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის დაცვით, სამ ნაბეჭდ ეგზემპლარად და ელექტრონული სახით უნდა წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.
12.2 დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს დარგობრივი კომისია.
12.3 დისერტაციაში ნაწილის სახით უნდა შევიდეს შემაჯამებელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე, რომელშიც წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი სამეცნიერო შედეგები, დასაბუთებულია მათი სამეცნიერო სიახლე, ღირებულება და აქტუალობა შესაბამის სამეცნიერო დისციპლინაში.
12.4 ნაშრომთან ერთად დისერტანტმა უნდა წარმოადგინოს:
- ცნობა დაგროვილი კრედიტების შესახებ;
- ხელმოწერილი განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი მისი დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს;
- დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და ექსპერტის/ების მიერ ნაშრომის შუალედური შეფასებები (ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა)
- ინფორმაცია საერთაშორისო პუბლიკაციების შესახებ.

12.5 სამუსიკო ხელოვნების დოქტორატურაზე სწავლისას, დისერტანტმა სადოქტორო პორტფოლიო, რომელიც შეესაბამება შემოქმედებითი/საშემსრულებლო პორტფოლიოს პუბლიკაციის ფორმალურ სტანდარტებს და გაფორმებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის დაცვით, სამ ნაბეჭდ ეგზემპლარად და ელექტრონული სახით უნდა წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.
12.6 პორტფოლიოში შემავალი სანოტო პარტიტურები გამზადებული უნდა იყოს ერთ-ერთი სანოტაციო კომპიუტერული პროგრამის საშუალებით და წარმოდგენილი უნდა იყოს ქაღალდზე, ამობეჭდილი და აკინძული. აუდიო და აუდიო-ვიზუალური ჩანაწერები უნდა წარმოდგენილი იყოს ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული ციფრული ფორმატით.
12.7 პორტფოლიოს თანმხლები წერითი კომენტარი ან სადოქტორო ნაშრომი უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე მათი შესრულების საკითხს წყვეტს დარგობრივი კომისია.
12.8 პორტფოლიოში ნაწილის სახით უნდა შევიდეს შემაჯამებელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე, რომელშიც წარმოდგენილია სადოქტორო პორტფოლიოს ძირითადი არტისტული შედეგები, დასაბუთებულია მათი სიახლე, ღირებულება და აქტუალობა შესაბამის დისციპლინაში.

12.9 პორტფოლიოსთან ერთად დისერტანტმა უნდა წარმოადგინოს:

- ცნობა დაგროვილი კრედიტების შესახებ;
- ხელმოწერილი განაცხადი, რომ სადოქტორო პორტფოლიო მისი დამოუკიდებელი შემოქმედებითი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს;
- დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და ექსპერტის/ების მიერ ნაშრომის შუალედური შეფასებები (ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა);
- ინფორმაცია პორტფოლიოს საჯარო შესრულების შესახებ თანმხლები რეცენზიებით დარგის აღიარებული სპეციალისტებისგან.

მუხლი 13. საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება

13.1 დისერტაციის დაცვამდე დისერტანტს შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს სულ მცირე ორი სამეცნიერო პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში გარდა 21–ე მუხლში მითითებული დოქტორანტებისა:

- ზუსტი, საბუნებისმეტყველო, მედიცინის და ინჟინერიის მიმართულების დოქტორანტების სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს 0,5-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში;
- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების დოქტორანტების სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია მოხვედრილი;
- გამონაკლისია ბიზნესის მიმართულება, სადაც, შესაძლებელია ჟურნალი არ იყოს რეფერირებული;

13.2. ამ მუხლის 13.1. პუნქტში მითითებული მოთხოვნის ექვივალენტია თუ დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს სამი კონფერენციის მოხსენება, რომლებიც ინდექსირებული იქნება Thomson Reuters–ის ბაზაში და გავლილი ექნება რეფერირება გამოქვეყნებამდე.

13.3. სამუსიკო ხელოვნების კომპოზიციის და საშემსრულებლო მიმართულებების დოქტორანტებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ ორი საჯარო შესრულება, რომელთაც თან ახლავს დარგის აღიარებული სპეციალისტების რეცენზიები.

13.4. 13.1. 13.2 და 13.3. პუნქტებში მოცემულ სამეცნიერო პუბლიკაციებში/საჯარო შესრულება მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი, წინააღმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება/საჯარო შესრულების ვალდებულება არ ჩაეთვლება დისერტანტს დაკმაყოფილებულად.

13.5. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს, რამდენად შეესაბამება დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები აღნიშნულ მოთხოვნებს და წარმოადგენს დასკვნას. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, დოქტორანტი განაგრძობს თემაზე მუშაობას.

მუხლი 14. სადისერტაციო საბჭოს შექმნა და სადისერტაციო ნაშრომის/პორტფოლიოს შეფასება

14.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ, გონივრულ ვადაში, დარგობრივი კომისია წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს სადისერტაციო საბჭოს წევრების, ექსპერტებისა და რეცენზენტის/რეცენზენტების სიას.

ფაკულტეტის საბჭო მიმართავს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისა და რეცენზენტის/რეცენზენტების დანიშვნის მოთხოვნით.

14.2. აკადემიური საბჭო უნივერსიტეტის სრული, ასოცირებული და ემერიტუს პროფესორებისაგან აკომპლექტებს სადისერტაციო საბჭოს, სულ მცირე, სამი წევრის შემადგენლობით, წევრთაგან ნიშნავს მის თავმჯდომარეს და გამოჰყოფს მინიმუმ ერთ რეცენზენტს. საბჭოს წევრები და რეცენზენტები შეიძლება მოწვეული იყვნენ სხვა აკადემიური დაწესებულებიდან. ამასთან, მათ უნდა ჰქონდეთ დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. სადისერტაციო საბჭოს მუშაობას ესწრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელიც აფორმებს სათანადო დოკუმენტებს.(28.06.2013)

14.3. სამუსიკო ხელოვნების კომპოზიციის და საშემსრულებლო მიმართულებებზე დოქტორანტის დასრულებული პორტფოლიო სარეცენზიოდ წარედგინება შიდა და გარეშე რეცენზენტებს, რომლებიც დარგის აღიარებული სპეციალისტები არიან - პროფესორი, ემერიტუს პროფესორი იმავე და სხვა უნივერსიტეტიდან ან, გარეშე რეცენზენტის შემთხვევაში, ასევე საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კომპოზიტორი ან შემსრულებელი.

14.4. შეფასება ხორციელდება შემდეგი სისტემით:

summa cum laude - ფრიადი

magna cum laude - ძალიან კარგი

cum laude - კარგი

bene - საშუალო

rite - დამაკმაყოფილებელი

insufficienter - არადამაკმაყოფილებელი

sub omni canone - სრულიად არადამაკმაყოფილებელი

14.5.საბოლოო შეფასებას სადისერტაციო საბჭოს წევრები წერენ კონსენსუსის გზით.

14.6. თუ დისერტანტმა მიიღო უარყოფითი შეფასება - insufficienter - არადამაკმაყოფილებელი, მან გადამუშავებული ნაშრომი უნდა წარადგინოს ერთი წლის განმავლობაში, ხოლო, თუ დისერტანტმა მიიღო შეფასება sub omni canone - სრულიად არადამაკმაყოფილებელი, მან უნდა წარადგინოს ახალი ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში.

მუხლი 15. დისერტაციის/პორტფოლიოს დაცვა

15.1 დისერტაციის / პორტფოლიოს დაცვა ხდება სადისერტაციო საბჭოს წინაშე. დისერტანტის სურვილის შემთხვევაში, მას შეიძლება დაესწრონ კოლეგები.

15.2 დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

15.3 დაცვის პროცესის ხანგრძლივობას ადგენს სადისერტაციო საბჭო.

15.4 დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის / პორტფოლიოს პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას.

15.5 ხელმძღვანელს აქვს დაცვაზე დასწრების უფლება. დისერტაციის და დისერტანტის შესახებ ის მოსაზრებას გამოთქვამს იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო საბჭო მას შეკითხვით მიმართავს.

15.6 დისერტაციის და სადოქტორო პორტფოლიოს დაცვის შეფასება ხდება 14.4 პუნქტში მოცემული სისტემის მიხედვით.

მუხლი 16. ხარისხის მინიჭება და გამოქვეყნების ვალდებულება

16.1 დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო.
16.2 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა.
16.3 დოქტორანტის მიერ14.6. პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს მიერ ისევ უარყოფითი გადაწყვეტილების მღების შემდეგ დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი სწავლის შედეგების მიუღწევლობის გამო.
16.4 უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ ერთი თვის ვადაში ატვირთოს დისერტაცია / პორტფოლიო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

16.5. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა დისერტაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთვის შემდეგ.

თავი V. დავები, დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა და დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა

მუხლი 17. გასაჩივრების პროცედურა

დოქტორანტურაში სწავლის პროცესში წარმოქმნილ ნებისმიერ პრობლემას, წერილობითი განცხადების საფუძველზე, განიხილავს დარგობრივი კომისია, ხოლო სადისერტაციო ნაშრომისთვის მსვლელობის მიცემის შემდეგ - სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 18. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

18.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ან შეჩერება ხდება საუნივერსიტეტო წესისა და ამ დებულების მიხედვით.
18.2 შესაბამისმა დარგობრივმა კომისიამ შეიძლება უნივერსიტეტის რექტორს მიმართოს დოქტორანტისთვის სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნით:
- თუ დოქტორანტი ზედიზედ ორჯერ ვერ დაიცავს დისერტაციას;
- უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის, უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით;
- პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში.

მუხლი 19. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

19.1 დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით, აკადემიური საბჭოს წინაშე შეიძლება დაისვას დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობის საკითხი აკადემიური და კვლევის ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში.
19.2 აკადემიური საბჭო ამ გადაწყვეტილებას იღებს თავად, ან ქმნის შესაბამის კომისიას.

მუხლი 20. დოქტორანტურაში სწავლის საფასური

20.1. სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დოქტორანტურაში სწავლა უფასოა 5 წლის განმავლობაში. გამონაკლისს წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა, სადაც დამატებით (უფასო პროგრამასთან ერთად), შესაძლოა გამოცხადდეს ფასიანი პროგრამები. აგრეთვე, აკადემიურმა საბჭომ შეიძლება დაუშვას ფასიანი დოქტორანტურა გამონაკლისის სახით, დეკანის წარდგინების საფუძველზე.
20.2. თუ დოქტორანტს 3 წლის შემდეგ არ ექნება დაცული პროსპექტუსი და/ან 4 წლის შემდეგ არ ექნება ამ დებულების მე-13 მუხლით განსაზღვრული მინიმუმ ერთი პუბლიკაცია, მან უნდა გადაიხადოს სწავლის საფასური ყოველი შემდეგი სემესტრისათვის უნივერსიტეტში დადგენილი საფასურის რაოდენობითა და წესით.
20.3. 20.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დროულად შესრულების მიუხედავად, თუ დოქტორანტი ჩარიცხვიდან ხუთი წლის განმავლობაში ვერ დაიცავს დისერტაციას და ვერ მიიღებს დოქტორის ხარისხს, დოქტორანტურაში სწავლის მეექვსე წლიდან გადაიხდის იმ დროისათვის დადგენილ სწავლის საფასურს.

თავი VI. გარდამავალი დებულებები

მუხლი 21.

დოქტორანტებზე, რომლებიც უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ჩაირიცხნენ 2008 წლის 20 მარტამდე, ვრცელდება ერთი სტატიის გამოქვეყნების ვალდებულება 13.1 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფორმა **№1**

ფაკულტეტი:

დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა

ნაწილი **1.**

პირადი მონაცემები აპლიკანტის შესახებ:

აპლიკანტი: _____ _____ | | | | | | | | | | |

_____	_____	_____
სახელი	გვარი	პირადი ნომერი

ფაქტობრივი მისამართი:

_____

_____

ელ-ფოსტა: _____ ტელ. ნომერი: _____ (სახლი)

_____(სამსახური) _____ (მობილური)

ნაწილი 2.

სადოქტორო პროგრამები: (მიუთითეთ თქვენთვის სასურველი სადოქტორო პროგრამა)

ნაწილი 3.

საჭირო დოკუმენტები:

გთხოვთ,სააპლიკაციო ფორმას თან დაურთოთ შემდეგი დოკუმენტები:

1. მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. ავტობიოგრაფია
4. 2 ფოტოსურათი 3X4 - ზე
5. პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები არსებობის შემთხვევაში. (გთხოვთ, იხილოთ პროგრამის აღწერა)

დამატებითი ინფორმაცია:

ინგლისური ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან აპლიკანტები, რომელებიც წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს (რომელიც შეესაბამება ენების სწავლების და შემოწმების ევროკომისიის ჩარჩო დოკუმენტის სტანდარტის მეოთხე დონეს, ანუ კემბრიჯის FCE სერთიფიკატს, ან 513-დან 547 ქულამდე TOEFL-ის სისტემით). ასეთი საბუთის ეკვივალენტად ჩაითვლება ინგლისურენოვანი უნივერსიტეტის ბაკალავრის ან მაგისტრის დიპლომი . ასევე, გამოცდისგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებსაც ინგლისურ ენაზე აქვთ გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი საზღვარგარეთის ქვეყნებში.

სააპლიკაციო ფორმის შევსებით ვადასტურებ, მოცემული ინფორმაციის სისწორეს. გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისათან დაკავშირებით.

_____

სახელი და გვარი (სრულად)

_____

ხელმოწერა

_____

თარიღი